



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 530 2021 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 იანვრის №1 დადგენილებაში (www.mastne.gov.ge, 11/01/2021, 110070000.10.003.022554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა“) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 000 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის სახელმწიფო პროგრამა	თანხა ლარში
სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად გაცემული დასკვნის გამოსავლენად, სამედიცინო გადამოწმების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამოკვლევა მიმწოდებლის მიერ	730
სამივლინებო ხარჯები	270
სულ:	1 000.₾.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი